# სტუდენტური შეჯიბრი სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატირების უნარ-ჩვევებში

## ძირითად პირობები

### ტრენინგი

იმიტირებულ სასამართლო პროცესამდე (შეჯიბრამდე) გაიმართება ორდღიანი ტრენინგი. ტრენინგი ჩატარდება 28-29 ოქტომბერს ქ. თბილისში, სასტუმრო Tbilisi Marriot-ში. ტრენინგი სავარაუდოდ დაიწყება 28 ოქტომბერს, 09.30 საათზე და დასრულდება 29 ოქტომბერს 17.00 საათზე. დეტალურ დღის წესრიგს გადმოგცემთ რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ.

ტრენინგის მიზანია სტუდენტებს გააცნოს სისხლის სამართლის სასამართლო პროცესისთვის ადვოკატის აუცილებელი უნარ-ჩვევების ძირითადი საკითხები. ტრენინგზე გამოყენებული სასწავლო მეთოდოლოგია მოიცავს, როგორც მოკლე სალექციო, ასევე სადემონსტრაციო (პრაქტიკულ) ნაწილს.

ტრენინგის ყოველი მონაწილე წინასწარ მიიღებს სატრენინგო მასალას. ტრენინგი ჩატარდება ინგლისურ ენაზე ქართული თარგმანით. ტრენინგს ჩაატარებს ამერიკელი პროფესორი, დილეინ სვენსონი და JILEP-ის მრჩეველი იურიდიული განათლების საკითხებში, სტივენ ოსტერმაილერი.

ყოველ უნივერსიტეტს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინოს ტრენინგში/შეჯიბრში მონაწილე ერთი გუნდი. ტრენინგში/შეჯიბრში მონაწილეობის განაცხადის წარმოდგენის **ბოლო ვადაა 13 ოქტომბერი, 18.00 სთ (ფორმა იხილეთ დანართ 1-ში)**. განაცხადის ფორმა უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე: lchkhartishvili@ewmi-jilep.org.

**მოგახსენებთ, რომ გუნდების რაოდენობა შეზღუდულია, რაც იმას ნიშნავს, რომ 13 ოქტომბერი წარმოადგენს მხოლოდ საორიენტაციო ვადას. ტრენინგზე/შეჯიბრზე დაიშვება მხოლოდ ის 8 გუნდი, რომელიც სხვებზე ადრე, 13 ოქტომბრამდე, გაივლის რეგისტრაცია.**

ტრენინგზე დაიშვებიან ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტები (რომელთაც არ აქვთ ჩაბარებული ადვოკატურის, პროკურატურის, მოსამართლის, ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდები ან/და არ არიან შესაბამისი პროფესიის წარმომადგენლები). ტრენინგში მონაწილე სტუდენტთა შერჩევა დამოკიდებულია უნივერსიტეტის შიდა წესებზე, თუმცა ჩვენი პროექტი მოგიწოდებთ, რომ სტუდენტების შერჩევა მოხდეს ღია კონკურსის წესით, სადაც ყველა მსურველს ექნება თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა შერჩევის პროცესში.

სტუდენტები, **რომელთაც მონაწილეობა აქვთ მიღებული JILEP-ის მიერ ორგანიზებულ წინა შეჯიბრებში, ტრენინგში/შეჯიბრში მონაწილეობას არ იღებენ.** ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში JILEP-ი უფლებას იტოვებს მოახდინოს გუნდის დისკვალიფიკაცია შეჯიბრიდან.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ტრენინგის განაცხადში უნდა დაარეგისტრიროთ 5 სტუდენტი (საბაზისო გუნდი). თქვენ ასევე შეგიძლიათ დაარეგისტრიროთ 2 სარეზერვო სტუდენტი (სარეზერვო გუნდი). ორივე გუნდის წევრები ესწრებიან ტრენინგს და მონაწილეობას იღებენ მასში. გაითვალისწინეთ, რომ ტრენინგზე დასწრება გუნდებისთვის სავალდებულოა. გუნდი, რომელიც ამ პირობას დაარღვევს, შესაძლოა დისკვალფიცირებული იქნეს შეჯიბრიდან.

შეჯიბრის დაწყებამდე გუნდის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შესაძლოა მოხდეს სარეზერვო გუნდიდან სტუდენტის გადაყვანა საბაზისო გუნდში, რის შესახებაც შეჯიბრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 დღისა უნდა ეცნობოს JILEP-ს.

იმიტირებული სასამართლო პროცესისთვის (შეჯიბრისთვის) გუნდის მომზადება დამოკიდებულია და წარმოადგენს გუნდის ხელმძღვანელის და მონაწილე სტუდენტების პასუხწიმგებლობას.

შესაბამისი განაცხადების შევსებით გუნდის ხელმძღვანელები ადასტურებენ, რომ გუნდის შემადგენლობა და მისი მოანაწილეობა ტრენინგსა და შეჯიბრში შეთანხმებულია შესაბამისი ფაკულტეტის ან სამართლის სკოლის ხელმძღვანელობასთან.

<u>**იმიტირებული სასამართლო პროცესი (შეჯიბრი)**</u>

იმიტირებული სასამართლო პროცესი (შეჯიბრი) სავარაუდოდ გაიმართება **14-15 დეკემბერს**. იმიტირებულ სასამართლო პროცესზე განსახილველი საქმე (კაზუსი) და შეჯიბრის წესები გაეგზავნებათ ტრენინგის დასრულების შემდეგ.

იმიტირებული სასამართლო პროცესის (შეჯიბრის) მონაწილეები და გამარჯვებული გუნდის წევრები მიიღებენ სერტიფიკატებსა და წამახალისებელ პრიზებს.

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

ლანა ჩხარტიშვილს

595 014 748

lchkhartishvili@ewmi-jilep.org

გისურვებთ წარმატებებს!

***<u>დანართი 1 – ტრენინგის/შეჯიბრის განაცხადის ფორმა</u>***

# განაცხადის ფორმა

## საკონტაქტო ინფორმაცია[1]

| | |
|---|---|
| უნივერსიტეტის დასახელება | |
| გუნდის ხელმძღვანელი: (სახელი, გვარი) | |
| ხელმძღვანელის საკონტაქტო ტელეფონი: | |
| ხელმძღვანელის საკონტაქტო მობილური: | |
| ხელმძღვანელის ელ-ფოსტა: | |

**ტრენინგში/შეჯიბრში მონაწილე სტუდენტები (საბაზისო გუნდი)**

| | **სახელი, გვარი, სტატუსი (ბაკალავრი/მაგისტრი)** | **საკონტაქტო მობილური ტელეფონი:** | **ელ-ფოსტა:** |
|---|---|---|---|
| **1.** | | | |
| **2.** | | | |
| **3.** | | | |
| **4.** | | | |

[1] ყველა ველის შევსება სავალდებულოა.

| | | | |
|---|---|---|---|
| 5. | | | |

სარეზერვო გუნდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | სახელი, გვარი, სტატუსი (ბაკალავრი/მაგისტრი) | საკონტაქტო მობილური ტელეფონი: | ელ-ფოსტა: |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2. | | | |